ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N09
20 მარტი 2025 წ.

დაბა ლენტეხი

„ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20-თებერვლის N-03 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20-ე მუხლის მე-4-ე პუნქტის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობისა და ბაზრობების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 20-თებერვლის N-03 დადგენილებით დამტკიცებულ წესში შემდეგი სახით:

1.დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2-ე მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას;

2. წესის მე-5-ე მუხლის მე-4-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4.აკრძალულია მალფუჭებადი საკვები პროდუქტებით (ხორცი, ხორცის პროდუქტები, რძე, რძის პროდუქტები, თევზი, შეუფუთავი საკონდიტრო ნაწარმი, პური, სუნელები და სანელებლები) გარე ვაჭრობა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი გაზდელიანი